



კმაყოფილების კვლევა

წლიური ანგარიში

GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY

2020

Contents

შესავალი.....	3
1. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.....	4
1.1 კვლევის მიზნები და ამოცანები	4
1.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	5
1.3 ძირითადი დასკვნები.....	6
1.3 კვლევის შედეგები	7
1.3.1 კამპუსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.....	7
1.3.2 სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა.....	10
1.3.3 სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა.....	12
1.3.4 ლექტორები და შეფასების სისტემა	14
1.3.5 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	16
1.3.6 დისტანციური სწავლება	18
2. სასწავლო/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა.....	20
2.1 კვლევის მიზანი და ამოცანა	20
2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები	20
2.3 ძირითადი დასკვნები.....	21
2.4 კვლევის შედეგები	22
2.4.1 უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სტრატეგიული განვითარება.....	22
2.4.2 უნივერსიტეტის მართვის სტილის მიმართ კმაყოფილების დონის დადგენა	23
2.4.3 ხარისხის უზრუნველყოფა	25
2.4.4 პერსონალის წახალისება.....	26
2.4.5 უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები	27
3. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა.....	30
3.1 კვლევის მიზნები და ამოცანები	30
3.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	30
3.3 ძირითადი დასკვნები.....	31
3.4 კვლევის შედეგები	32
3.4.1 კურსდამთავრებულთა ეკონომიკური სტატუსი და ცალკეული ასპექტები.....	32
3.4.2 პროგრამით განსაზღვრული ცოდნის და უნარების შრომის ბაზართან შესაბამისობა	34
4. დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა.....	36
4.1 კვლევის მიზნები და ამოცანები.....	36
4.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	36
4.3 ძირითადი დასკვნები.....	37
4.4 კვლევის შედეგები	38
5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა.....	45

5.1 კვლევის მიზნები და ამოცანები	45
5.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	45
5.3 ძირითადი დასკვნები.....	46
5.4 კვლევის შედეგები	47

შესავალი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, როგორც სტუდენტზე და შედეგზე ორიენტირებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სასწავლოს პროცესში ჩართული მხარეები გამოკითხვას, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას და შემდგომში, მიზანშეწონილი ღონისძიებების გატარებას, რათა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი წარიმართოს ეფექტურად და ეფექტიანად.

წინამდენარე დოკუმენტიც, სწორედ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტთა, აკადემიურ პერსონალთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშს წარმოადგენს. შესაბამისად, ის შედგება ოთხი კომპონენტისგან. კვლევა განხორციელდა 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მიწურულს - ივნის / ივლისი. გარდა კვლევის შედეგების ვიზუალიზაციისა, ანგარიშში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები.

1. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

1.1 კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ერთი მხრივ, უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ სასწავლო პროცესსა, სტუდენტური მხარდაჭერის სერვისებზე და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე მათი დამოკიდებულებების შესწავლა, მეორე მხრივ კი, დამსაქმებლების უკუკავშირის მოპოვება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების შესახებ, შემდგომში საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

კვლევის ამოცანები დაკავშირებული იყო ისეთი ასპექტების გაანალიზებაზე, როგორცაა:

1. სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის კამპუსის, უსაფრთხო გარემოს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება
2. სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება
3. სტუდენტების ჩართულობა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარებაში
4. სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება
5. სტუდენტების დამოკიდებულება უნივერსიტეტის ლექტორებსა და შეფასების სისტემაზე
6. სტუდენტების შეფასება ადმინისტრაციის მიერ მათი მხარდაჭერის ღონისძიებებსა და სხადასხვა სერვისზე
7. სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის მიმართ ზოგადი კმაყოფილების დონის დადგენა


1.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების დასადგენად გამოვიყენეთ რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც მოიცავდა თვითადმინისტრირებად კითხვარებს. კითხვარები შედგებოდა ძირითადად დახურული ტიპის დებულებებისგან, თუმცა, რესპოდენტს ჰქონდა შესაძლებლობა კომენტარების სახით საკუთარი აზრი უფრო ვრცლად დაეფიქსირებინა ამა თუ იმ ასპექტზე მონაცემთა ეფექტური დამუშავებისთვის კითხვარი ინტეგრირდა „google form“-ის პლატფორმა.

გამოვიყენეთ სტუდენტური პორტალზე არსებული იმეილების ბაზა. ამავდროულად, კითხვარი იყო ანონიმური და მონაცემთა დამუშავების დროს მკაცრად იყო დაცული პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები.

რეპრეზენტატულობის მისაღწევად კი, უნივერსიტეტის არსებულ ყველა აქტიურ სტუდენტს გაეგზავნა იმეილზე კითხვარი.

შედეგად, სტუდენტების სეგმენტში მონაწილეობა მიიღო 41%-მა და ის სკოლების მიხედვით მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:



1.3 ძირითადი დასკვნები

- 1. კამპუსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა** - სტუდენტები საერთო ჯამში კმაყოფილების არიან უნივერსიტეტის კამპუსის კეთილმოწყობით და მატ-ტექნიკური ბაზით. თუმცა, კვლევის შედეგები და ცალკეული კომენტარები წარმოაჩენენ შენობის დიზაინის განახლებას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია კაფეტერიის კვების ასორტიმენტის გამრავალფეროვნება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სტუდენტები გარემოს აფასებენ, როგორც უსაფრთხო და კომფორტულ ადგილს.
- 2. სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა** - აგრეთვე კარგ შეფასებას აძლევენ სტუდენტები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მატ-ტექნიკურ ბაზას. ამავდროულად, სტუდენტები მიზაშეწონილად თვლიან სტუდენტურ პორტალის დიზაინის განახლებას და მის მორგებას სმარტფონებზე. საერთო ჯამში, დადებითად შეფასდა ბიბლიოთეკის სივრცეც.
- 3. სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა** - ნიშანდობლივია სტუდენტების შეფასება აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე, როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ასევე სხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. ისინი ფიქრობენ, რომ ერთი მხრივ, შეუძლიათ მათი მოსაზრებების შეუფერხებლად გაჟღერება, მეორე მხრივ კი, მათი ჩართულობით გარკვეული ცვლილებების შეტანა პროგრამებსა და სწავლების პროცესში. ასევე, მნიშვნელოვანია მათი შეფასება უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილში, სადაც ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ უნივერსიტეტს. ამ ნაწილში, რაც აღსანიშნავია, არის ის, რომ ხედავენ საჭიროებას და ზოგ შემთხვევაში აუცილებლობას ჰქონდეთ მეტი თავისუფალი კრედიტი და შესაბამისად, მეტი არჩევანის თავისუფლება სალექციო კურსების შერჩევის თვალსაზრისით.
- 4. ლექტორები და შეფასების სისტემა** - მაღალია ლექტორების შეფასებაც. მათ კვალიფიკაციაზე, გადმოცემის უნარზე და ძალისხმევაზე სტუდენტებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ. კვლევის შედეგებით დგინდება, რომ სტუდენტებს აქვთ საჭიროება უფრო მეტი დრო გაატარონ ლექტორებთან ინდივიდუალურად. აგრეთვე, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ საგამოცდო ცენტრი იყოს მეტად მეგობრული და არ იყოს სტრესული გარემო. რაც შეეხება, შეფასების სისტემას და ობიექტურობას, აბსოლუტური უმრავლესობა აფასებს დადებითად.
- 5. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები** - სტუდენტები კმაყოფილები არიან მათი მხარდაჭერი ღონისძიებებით, მათ შორის კონკურსების ჩატარებით, კარიერის ცენტრით და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობით.

1.3 კვლევის შედეგები

კვლევის შედეგების ვიზუალური მხარე წარმოდგენილია ორი ფორმით:

- ✓ ცხრილი: მასში მოცემულია პასუხების როგორც სიხშირული, აგრეთვე პროცენტული განაწილება
- ✓ დიაგრამა: ცხრილში არსებული შეფასებები გამოსახულია საშუალო შეწონილი ქულებით, სადაც, პასუხებს შეესაბამება შემდეგი მნიშვნელობები:
 - სრულიად ვეთანხმები - 4
 - მეტ-ნაკლებად ვეთანხმები - 3
 - ნაწილობრივ არ ვეთანხმები -2
 - სრულიად არ ვეთანხმები - 1

1.3.1 კამპუსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

უნივერსიტეტის „კამპუსის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად შევიმუშავეთ 10 დებულება, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით (სრულიად ვეთანხმები, მეტ-ნაკლებად ვეთანხმები, ნაწილობრივ არ ვეთანხმები, სრულიად არ ვეთანხმები) და ერთი ღია კითხვა ვრცელი კომენტარისთვის („რის დამატებას/შეცვლას ისურვებდით“).

ჩამოთვლილი თეზისებიდან სტუდენტები ყველაზე მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ კამპუსის ადგილმდებარეობა ხელსაყრელია (91%) და სამეცნიერო სერვისის ხელმისაწვდომია (82%). მაღალი ქულით ფასდება ტოლერანტული გარემო უნივერსიტეტში - 91%.

შედარებით უფრო ნაკლები შეფასებით არის წარმოდგენილი კაფეტერიაში კვება - 74%. კომენტარებიდან კაფეტერიის არც ისე მაღალი შეფასება უკავშირდება კვების ასოტიმენტის სიმწირეს.

„გაუს კაფეში არის ადგილი, სადაც შესვლა მოგიწევს. კარგად არის მოწყობილი და ფასებიც მისაღებია. რაც აქვთ გემრიელია, მაგრამ ვისურვებდი უფრო მეტი ასორტიმენტი იყოს“


მესამე კურსის სტუდენტი

„უნიში ბევრი ადგილია, სადაც შეიძლება დამატებითი დასასვენებელი სივრცეები მოეწყოს. კარგი იქნება თუ გარეთაც მოგვიწყობთ“

მეორე კურსის სტუდენტი

დიაგრამა 1

კამპუსი და მატერიალ-ტექნიკური ბაზა



ცხრილი 1

1. კამპუსი და მატერიალ-ტექნიკური ბაზა	სრულიად ვეტანხმები		მეტ-ნაკლებად ვეტანხმები		ნაწილობრივ არ ვეტანხმები		სრულიად არ ვეტანხმები	
	N	%	N	%	N	%	N	%
GAU-ს კამპუსის ადგილმდებარეობა მისადგომობის თვალსაზრისით ხელსაყრელია	521	91%	36	6%	17	3%	0	0%
GAU-ს კამპუსი კეთილმოწყობის და ინფრასტრუქტურის ხარისხი ჩემთვის ქმნის კომფორტულ გარემოს	448	78%	97	17%	24	4%	5	1%
GAU-ში არსებული დაცვის სამსახურის ეფექტური მუშაობა ჩემთვის ქმნის უსაფრთხო გარემოს	473	82%	82	14%	15	3%	4	1%
GAU-ში არსებული ატმოსფერო ტოლერანტულია	521	91%	39	7%	11	2%	3	1%
კამპუსის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირთათვის	462	80%	77	13%	33	6%	2	0%
შენობასთან არსებობს ავტოსადგომი საკმარისი ადგილებით	442	77%	98	17%	24	4%	10	2%
კამპუსში არსებული სარეკრეაციო ზონა სავსებით აკმაყოფილებს ჩემს საჭიროებებს	460	80%	84	15%	21	4%	9	2%
უნივერსიტეტში არსებული ჰიგიენის დონე შეესაბამება მაღალ სტანდარტებს	476	83%	81	14%	13	2%	4	1%
უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო სერვისი ხელმისაწვდომია სწავლების მთელი დროის განმავლობაში	469	82%	90	16%	15	3%	0	0%
უნივერსიტეტის კაფეტერიაში კვება ხელსაყრელია	436	76%	102	18%	24	4%	12	2%
უნივერსიტეტის სანიტარულ კვანძები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და სისუფთავე დაცულია.	522	91%	44	8%	8	1%	0	0%
უნივერსიტეტის შენობაში სეზონურად უზრუნველყოფილია შესაბამისი მიკროკლიმატი.	512	89%	49	9%	8	1%	5	1%

1.3.2 სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა

უნივერსიტეტის „სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზის“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად შევიმუშავეთ 10 დებულება დახურული ფორმით, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება ასევე გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით და ერთი ღია კითხვა ვრცელი კომენტარისთვის.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მატ-ტექნიკური ბაზის შეფასებისას სტუდენტთა ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ბიბლიოთეკის პერსონალმა, რომლებიც მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში კონსულტაცია გაეწიათ სტუდენტებისთვის (სრულიად ვეთანხმები 91%) და აგრეთვე, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მოთხოვნილი ლიტერატურა დამატებინათ ბიბლიოთეკის ფონდისთვის (სრულიად ვეთანხმები 93%). 80% და მეტმა რესპოდენტმა დაადასტურა აგრეთვე თეზისი იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკის ფონდი, ინფრასტრუქტურა და უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული აღჭურვილობა ერთი მხრივ, პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ შესაძლებლობებს, მეორე მხრივ კი, ხელმისაწვდომია. შედარებით ნაკლებმა პროცენტმა დაადასტურა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში არის მაღალხარისხიანი ინტერნეტი - რესპოდენტთა 78% ეთანხმება სრულად მოსაზრებას, რომ ინტერნეტის ხარისხი კარგია, ხოლო 16% მეტ-ნაკლებად ეთანხმება. რესპოდენტთა 77% აღნიშნავს, რომ სტუდენტური პორტალის ინფრასტრუქტურა კომფორტულია. შედარებით ნაკლები პროცენტი დიდწილად უკავშირდება მათ მოსაზრებას, რომ მისი დიზაინი განსაზღვრავს, რაც კომენტარებში ფიქსირდება.


„არის ადგილები სადაც wifi კარგად იჭერს და არის ადგილები სადაც არ იჭერს კარგად. გთხოვთ დაამატეთ მოწყობილობები“

პირველი კურსის სტუდენტი

„პორტალის დიზაინი მოძველებულია, განაახლეთ, რომ უფრო თავსებადი იყოს სმარტფონებთან“

მეორე კურსის სტუდენტი

დიაგრამა 2



ცხრილი 2

2. სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ბაზა	სრულიად ვეთანხმები		მეტ-ნაკლებად ვეთანხმები		ნაწილობრივ არ ვეთანხმები		სრულიად არ ვეთანხმები	
	N	%	N	%	N	%	N	%
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე მეცადინეობისთვის და განვტირთვისთვის კომფორტულია	492	86%	62	11%	15	3%	5	0.9%
ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა მრავალფეროვანია	479	83%	79	14%	12	2%	4	0.7%
ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული წიგნებით	483	84%	69	12%	16	3%	6	1.0%
ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ინტერნეტზე მიერთებული კომპიუტერები	475	83%	89	16%	10	2%	0	0.0%
ბიბლიოთეკის ელექტრონული საძიებო სისტემა მოსახერხებელია	472	82%	77	13%	23	4%	2	0.3%
ბიბლიოთეკის პერსონალი საჭიროების შემთხვევაში მიწევს კონსულტაციებს	523	91%	39	7%	12	2%	0	0.0%
მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი მზად არის განაახლოს ბიბლიოთეკის ფონდი	534	93%	31	5%	9	2%	0	0.0%
კამპუსში არსებული კომპიუტერული ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით	477	83%	81	14%	11	2%	5	0.9%
კომპიუტერები ხელმისაწვდომია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით	459	80%	82	14%	24	4%	9	1.6%
კამპუსი აღჭურვილია კარგი ხარისხის ინტერნეტით	449	78%	92	16%	23	4%	10	1.7%
სტუდენტური პორტალის ინფრასტრუქტურა კომფორტულია	443	77%	92	16%	28	5%	11	1.9%

1.3.3 სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა

უნივერსიტეტის „სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობის“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად შევიმუშავეთ 8 დებულება დახურული ფორმით, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება ასევე გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით და ერთი ღია კითხვა ვრცელი კომენტარისთვის.

ყველაზე მეტმა რესპოდენტმა დაადასტურა თეზისი, რომ უნივერსიტეტში მათ აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გამოთქვან მოსაზრება სასწავლო პროცესის შესახებ (95%). აგრეთვე, აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ მაღალია აკადემიური თავისუფლება და მათი უფლებების დაცულობა (92%). აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ დებულებაზე - თუ რამდენად არიან ჩართული სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების პროცესის გაუმჯობესებაში შეფასების მეშვეობით, ეთანხმება რესპოდენტთა 83%, რაც 12%-ით ჩამოუვარდება მათივე თანხმობას მოსაზრების გამოთქმასთან დაკავშირებით. განსხვავება შესაძლოა დაკავშირებულია იმასთან, რომ ყველა მათი შენიშვნის იმპლემენტაცია არ ხდება სასწავლო პროცესში.

სტუდენტები ასევე კომენტარებში აღნიშნავენ, რომ მათი უფლებები დაცულია და მეტიც, საჭიროების შემთხვევაში კარგად არიან ინფორმირებულები თუ როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები. აგრეთვე ინფორმირებულები არიან, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტური ომბუდმენის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ.


„პირველ რიგში, მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ამ უნივერსიტეტს, გაწეული შრომისთვის და ყურადღებისთვის, თითოეული სტუდენტისადმი, და რა თქმა უნდა იმ განათლებისთვის, რაც მომცა, ისეთი საგნებისთვის, რაც მართლა გამოყენებადია ყველა სამსახურისთვის. ყველა იმ შანსისთვის, რასაც სტუდენტს აძლევს. ფაქტობრივად, სრულიად კმაყოფილი ვარ მე ამ უნივერსიტეტის. რა თქმა უნდა მაგისტრატურის გავლაც გაუმი მინდა. დიდი მადლობა ყველაფრისთვის.“

მეოთხე კურსის სტუდენტი

„კარგი იქნება თუ თავად მექნება შესაძლებლობა რომელ სემესტრში რომელი საგანი გავიარო“

მეორე კურსის სტუდენტი

დიაგრამა 3



ცხრილი 3

სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი და მასში სტუდენტების ჩართულობა	სრულიად ვეთანხმები		მეტ-ნაკლებად ვეთანხმები		ნაწილობრივ არ ვეთანხმები		სრულიად არ ვეთანხმები	
	N	%	N	%	N	%	N	%
სტუდენტები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებაში მათი შეფასების მეშვეობით	474	83%	71	12%	28	5%	1	0.2%
სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სასწავლო აკადემიურ პროცესთან დაკავშირებით	545	95%	23	4%	6	1%	0	0.0%
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინტერესდება სტუდენტების კმაყოფილების გამოვლევით (პერიოდულად ტარდება გამოკითხვები, ინიშნება შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან)	496	86%	52	9%	18	3%	8	1.4%
სალექციო კურსების შესაბამისობაში მოდის პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან	483	84%	64	11%	16	3%	11	1.9%
სასწავლო კურსები მამდლევს იმ ცოდნას რომლის შეძენაც მსურდა	479	83%	81	14%	13	2%	1	0.2%
სწავლების/სწავლის მეთოდები არის ადეკვატური სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად	493	86%	54	9%	23	4%	4	0.7%
სასწავლო კურსის ხანგრძლივობები და მინიჭებული კრედიტები არის გონივრული და ადეკვატური შედეგის მისაღწევად	501	87%	38	7%	30	5%	5	0.9%
უნივერსიტეტში მაღალია აკადემიური თავისუფლების ხარისხი და ჩემი უფლებები დაცულია	527	92%	38	7%	9	2%	0	0.0%

1.3.4 ლექტორები და შეფასების სისტემა


უნივერსიტეტის „ლექტორები და შეფასების სისტემის“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად შევიმუშავეთ 12 დებულება დახურული ფორმით, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება ასევე გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით და ერთი ღია კითხვა ვრცელი კომენტარისთვის.

ყველაზე მეტად რესპოდენტები ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ შეფასების სისტემა არის სამართლიანი (92%) და ამავდროულად, საგამოცდო ცენტრი ობიექტურად მართავს პროცესს (96%). აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტების დამოკიდებულება მაღალია იმ დებულებაზეც, რომ ლექტორები არიან კომპეტენტურები (92%). მაღალ შეფასებას აძლევენ ასევე გადმოცემის სტილს, ინდივიდუალურად ხელმისაწვდომობას, სალექციო პროცესში ინტერაქციის დონეს. შედარებით ნაკლები რესპოდენტი იზიარებს იმ დებულებას, რომ ლექტორებისგან ისინი იღებენ საჭირო უკუკავშირს (83%).

„სასურველი იქნება, ლექტორებმა ხშირად გავგიზიარონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ლექციების შემდეგაც.“
მეორე კურსის სტუდენტი

„საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლები ობიექტურები არიან, მაგრამ ძალიან მკაცრები არიან და ხანდახან ეს ჩემზე ცოტა სტრესულად მოქმედებს.“
პირველი კურსის სტუდენტი

დიაგრამა 4



ცხრილი 4


ლექტორები და შეფასების სისტემა	სრულიად ვეთანხმები		მეტ-ნაკლებად ვეთანხმები		ნაწილობრივ არ ვეთანხმები		სრულიად არ ვეთანხმები	
	N	%	N	%	N	%	N	%
სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ნათლად და ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული	539	94%	25	4%	10	2%	0	0.0%
სტუდენტთა შეფასება არის სამართლიანი	527	92%	31	5%	16	3%	0	0.0%
საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლები/ლექტორი ობიექტურად მართავდნენ პროცესს	552	96%	16	3%	6	1%	0	0.0%
ლექტორები კომპეტენტურები არიან	528	92%	38	7%	8	1%	0	0.0%
ლექტორები ჩემთვის გასაგებად ხსნიან ახალ მასალას	492	86%	62	11%	15	3%	5	0.9%
ლექტორები ორიენტირებულნი არიან პრაქტიკული/პროფესიული კომპონენტის განვითარებაზე	504	88%	51	9%	16	3%	3	0.5%
აქტიურად ვიყავი ჩართული სასწავლო პროცესში	496	86%	56	10%	12	2%	10	1.7%
კურსის ფარგლებში ლექტორისგან ვიღებდი უკუკავშირს ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ	474	83%	74	13%	17	3%	9	1.6%
აკადემიურ მენეჯერთან კომუნიკაციით კმაყოფილი ვარ	493	86%	63	11%	15	3%	3	0.5%
აკადემიური მენეჯერის მხრიდან ტექნიკური დახმარების გაწევით კმაყოფილი ვარ	482	84%	73	13%	14	2%	5	0.9%
ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა ხდება დროულად	476	83%	65	11%	23	4%	10	1.7%
ლექტორებთან ინდივიდუალური კონსულტაცია ხელმისაწვდომი იყო	499	87%	67	12%	7	1%	1	0.2%

1.3.5 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

უნივერსიტეტის „სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების“ სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად შევიმუშავეთ 8 დებულება დახურული ფორმით, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება ასევე გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით და ერთი ღია კითხვა ვრცელი კომენტარისთვის.

გამოკითხვის დროს, ასევე ვინტერესდებით სტუდენტების კმაყოფილებით მათი მხარდაჭერის ღონისძიებებთან მიმართებაში. მათ შორის იმ სერვისების მიმართ სტუდენტების დამოკიდებულებით, როგორცაა დასაქმების ცენტრი და გაცვლითი პროგრამები. გამოკითხვის შედეგები ცხადყოფენ, რომ რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება დებულებას, რომ როგორც ღონისძიებები, ასევე სერვისები უზრუნველყოფენ სტუდენტთა საჭიროებებს. მათ შორის, რესპოდენტების ყველაზე მეტი თანხმობა მიიღო დებულებამ კარიერის ცენტრის მიერ ვაკანსიების ხშირად მიწოდების შესახებ (91%). აგრეთვე, სტუდენტთა დიდი ნაწილი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

დიაგრამა 5




ცხრილი 5

სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	სრულიად ვეთანხმები		მეტ-ნაკლებად ვეთანხმები		ნაწილობრივ არ ვეთანხმები		სრულიად არ ვეთანხმები	
	N	%	N	%	N	%	N	%
უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა სახის შეღავათები სწავლის საფასურზე	486	85%	62	11%	19	3%	7	1.2%
უნივერსიტეტში არსებობს სწავლის საფასურის გადახდის სხვადასხვა მოქნილი სისტემა	474	83%	77	13%	14	2%	9	1.6%
სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების შესახებ ინიციატივის გამოხატვა და განხორციელება ადმინისტრაციის მხარდაჭერით შესაძლებელია	496	86%	54	9%	16	3%	8	1.4%
უნივერსიტეტში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები (სპორტული, გასართობი, შემეცნებითი)	517	90%	41	7%	13	2%	3	0.5%
უნივერსიტეტში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის კონკურსები	501	87%	45	8%	23	4%	5	0.9%
უნივერსიტეტი მუდმივად გვაწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ	521	91%	41	7%	10	2%	2	0.3%
კარიერის ცენტრი პერიოდულად მართავს დასაქმების მხარდამჭერ ღონისძიებებს	531	93%	34	6%	7	1%	2	0.3%
უნივერსიტეტში ხშირად ცხადდება კონკურსი გაცვლით პროგრამებზე	498	87%	67	12%	8	1%	1	0.2%
უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა თემატიკის სტუდენტური კლუბები	478	83%	62	11%	21	4%	13	2.3%

კითხვარის ბოლოს ინტეგრირებულია სტუდენტთა ჯამური კმაყოფილების განმსაზღვრელი კითხვა:

გაუწევდით თუ არა ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს რეკომენდაციას (შეაფასეთ 0-10 ქულამდე)

დიაგრამა 6



1.3.6 დისტანციური სწავლება

დისტანციური სწავლების მიმართ სტუდენტების დამოკიდებულებების და ზოგადი ეფექტიანობის დასადგენად შევიმუშავეთ 7 დებულებიანი კითხვარი, რომლებზეც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი დამოკიდებულება ასევე გამოეხატათ თანხმობის ან უარყოფის მეშვეობით და ერთი ღია კითხვა ვრცელი კომენტარისთვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ პროცესის ორგანიზებულად მართვას (89%) და აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში მათთვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენას (90%).

ამასთან, სტუდენტების უმრავლესობას სურს დისტანციური სწავლების ინტეგრირება სასწავლო პროცესთან მომავალშიც (დიაგრამა 9).


„კომპორტულია უფრო მეტ-ნაკლებად იღლები და ჩემი აზრით უფრო კურადღებით უსმენ, ვიდრე აუდიტორიაში გარკვეული ხმაურის და სხვა მიზეზების გამო“ - მეორე კურსის სტუდენტი

„კონცენტრირება უფრო რთულია ვიდრე აუდიტორიაში, ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორია. google classroom იყო ძალიან კომფორტული, კარგი იქნებოდა რომ მომავალშიც იყოს გამოყენებული, უფრო მარტივია მასალის, სილაბუსის, დავალებების კონტროლი, ყველაფერი ერთ სივრცეშია თავმოყრილი. მთლიანობაში დისტანციური სწავლება იყო საკმაოდ კომფორტული, მაგრამ ლექტორზეა ბევრი რამ დამოკიდებული, რამდენად უწყობს ხელს სტუდენტს და რამდენად ინტერაქციულს ხდის ლექციას.“ - მესამე კურსის სტუდენტი

„კარგი იქნება თუ სამომავლოდ იქნება ინტეგრირებული ონლაინ ლექციებიც, რადგან თუ სტუდენტი გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებს მისვლას ლექციაზე სახლიდან მოუსმენს“ - მესამე კურსის სტუდენტი

„გაუს მხრიდან ყველაფერი მოწესრიგებული იყო, მაგრამ ჩემი ზოგადი დამოკიდებულება დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით უარყოფითია.“ - მეოთხე კურსის სტუდენტი


დიაგრამა 7




ცხრილი 6

	სრულიად ვეთანხმები		მეტ-ნაკლებად ვეთანხმები		ნაწილობრივ არ ვეთანხმები		სრულიად არ ვეთანხმები	
	N	%	N	%	N	%	N	%
გამოყენებული ონლაინ სწავლების პლატფორმა Google Classroom გამართულად მუშაობს	415	72%	111	19%	32	6%	16	2.2%
ლექტორები ტექნიკურად კარგად იყენენ მომზადებულ დისტანციური ლექციისთვის	426	74%	89	16%	42	7%	17	2.3%
ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზად იყო აღმოეჩინათ შესაბამისი დახმარება	518	90%	49	9%	7	1%	0	0.0%
დისტანციური სასწავლო პროცესი კარგად იყო ორგანიზებული	510	89%	45	8%	14	2%	5	1%
დისტანციური სწავლებით კმაყოფილი ვარ	264	46%	192	33%	84	15%	34	4.6%

დიაგრამა 8



დიაგრამა 9



2. სასწავლო/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანა

ჩატარებული გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, აფილირებული და მოწვეული პერსონალის დამოკიდებულების დადგენა უნივერსიტეტის მართვის სტილთან და მატერიალურ რესურსთან მიმართებით. კვლევის ამოცანები მოიცავდა: 1. უნივერსიტეტის მისიის ხედვისა და განვითარების გეგმის ცნობადობისა და მათ შემუშავებაში ჩართულობის დონის დადგენას 2. უნივერსიტეტის მართვის მიმართ კმაყოფილების დონის შეფასებას, რაც მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების დროულობას, აკადემიური თავისუფლების პრინციპის დაცვას, ხარისხის უზრუნველყოფასა და პერსონალის წახალისება-განვითარებას. 3. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის, კერძოდ სამუშაო სივრცის, საბიბლიოთეკო რესურსისა და ასევე, ჯანმრთელობის, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმების მიმართ დამოკიდებულების დადგენას.

2.2 კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, რომლის ფარგლებში რესპოდენტებმა შეავსეს Google Forms-ის პლატფორმაზე შექმნილი ელექტრონული კითხვარი ანონიმურად, მხოლოდ აკადემიური სტატუსის მითითებით (აფილირებული პროფესორი, პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, აფილირებული ასისტენტი, სამეცნიერო პერსონალი, სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი).

კითხვარი შედგებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტრუქტურირებული დახურული კითხვებისაგან. ელექტრონული კითხვარის ბმული გავგზავნეთ უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართებზე. უნივერსიტეტის სასწავლო/სამეცნიერო პერსონალის გენერალური ერთობლიობა შეადგენდა 307-ს, რომელთაგან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 162-მა რესპოდენტმა (გამოპასუხების მაჩვენებელი 52.7%). მონაცემთა ანალიზის, განზოგადებისა და წარდგენისას მკაცრად იყო დაცული პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობითა და კვლევის ეთიკით გათვალისწინებული რეგულაციები.

2.3 ძირითადი დასკვნები


- გამოკითხული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სრული რაოდენობა იცნობს უნივერსიტეტის ხედვას, მისიასა და სამოქმედო გეგმას, მათი დიდი ნაწილი კი ჩართული იყო მისი შემუშავების პროცესში. აღნიშნული შედეგები მიგვითითებს, რომ სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, შესაძლებელია ამ კუთხით ჩართულობის დონის ამაღლება.
- უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ატვირთულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ამავდროულად მისი გაცნობა ხდება ყველა სტუდენტისთვის, თანამშრომლისთვის და აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის. ეს ითარგმნა გამოკითხვაში ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის ხელმისაწვდომობის მაღალ შეფასებაში.
- გამოკითხული პერსონალი საერთო ჯამში კმაყოფილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხარისხით.
- დადებითად ფასდება პერსონალის ჩართულობა სკოლის საბჭოს საქმიანობასა და აკადემიური პროგრამების შემუშავება-განვითარებაში.
- უმაღლესი შეფასება მიიღო უნივერსიტეტის მიერ აკადემიური თავისუფლების პრინციპების აღიარებამ და დაცვამ, რაც ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისიის გაცხადებული და ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია.
- საერთო ჯამში, პერსონალი დადებითად აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოღვაწეობას. გასათვალისწინებელია, რომ კვლევაში გამოჩნდა სურვილი, პერსონალს უფრო მეტი ინტენსივობით გაეზავნოს ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო და შიდა რეგულაციებთან დაკავშირებით, რისი უზრუნველყოფაც დაუყოვნებლივია შესაძლებელი.
- პერსონალი დადებითად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ რესურსსაც. კომენტარებში გამოთქმულია მოსაზრება შენობის დიზაინის განახლების და პოზიტიური ფერების შეტანის შესახებ.
- ჯანმრთელობის, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები დადებითად შეფასდა ყველა ასპექტში.
- მაღალი შეფასება დაიმსახურა საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისის ყველა დებულებამ.

2.4 კვლევის შედეგები

2.4.1 უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სტრატეგიული განვითარება

გამოკითხვის შედეგებში ჩანს, რომ პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა (100%) იცნობს როგორც უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, ისე საჯაროდ გამოქვეყნებულ სტრატეგიული განვითარების გეგმას. ამავდროულად, რესპოდენტების 24% აღნიშნავს, რომ ჩართული იყო უნივერსიტეტის ხედვისა და მისიის შემუშავების პროცესში, ხოლო 28% აღნიშნავს, რომ ჩართული იყო სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში.


დიაგრამა 10



2.4.2 უნივერსიტეტის მართვის სტილის მიმართ კმაყოფილების დონის დადგენა


ასევე მაღალია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი: გამოკითხულთა 93% ეთანხმება, რომ ის ადვილად მისაწვდომია, 7% კი უფრო ეთანხმება ამ დებულებას, ვიდრე არ ეთანხმება, რაც დამატებით მიუთითებს უნივერსიტეტში ინფორმაციის გამჭვირვალობაზე.

დიაგრამა 11




პერსონალის დიდი ნაწილი დადებითად აფასებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტურობას ისეთ ასპექტებში, როგორცაა ფუნქციების კოორდინირებულად განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღების დროულობა ორგანიზაციულ საკითხებთან და აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დებულებების შეფასებისას არც ერთმა რესპოდენტმა არ მონიშნა პასუხები „სრულიად არ ვეთანხმები“ ან „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“. ყველაზე დადებითად ფასდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების დროულობა.

დიაგრამა 12 - გადაწყვეტილებების მიღების დროულობა და კოორდინაცია




გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში. აღნიშნულს სრულიად ეთანხმება გამოკითხულთა 85%. მაღალია იმ რესპოდენტთა პროცენტული მაჩვენებელიც (82%), რომელიც თვლის, რომ პერსონალი ჩართულია სკოლის საბჭოს საქმიანობაში.

დიაგრამა 13 - პერსონალის ჩართულობის დონე



გამოკითხვაზე მიღებულ პასუხები ასევე ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვას, რაც უნივერსიტეტის მისიის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია. გამოკითხულთა 97% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში აღიარებულია პერსონალის აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის აკადემიური თავისუფლების დაცვას.

დიაგრამა 14 - აკადემიური თავისუფლება




2.4.3 ხარისხის უზრუნველყოფა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შესაფასებლად, პერსონალს მიეცა გარკვეული დებულებები. რესპოდენტებს უნდა შეეფასებინათ, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ მოცემულ ფრაზას („ვეთანხმები“, „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“, „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“). დებულებათა უმეტესობას სრულიად დაეთანხმა გამოკითხულთა 90%-ზე მეტი.

გამოკითხულთა 91% სრულიად ეთანხმება იმას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან პერსონალი სისტემატიურად იღებს ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო და შიდა რეგულაციებთან დაკავშირებით. დარჩენილი 9% უფრო ეთანხმება აღნიშნულ დებულებას, ვიდრე არ ეთანხმება. (იხ. გრაფიკი #6).


დიაგრამა 15



2.4.4 პერსონალის წახალისება

ანალოგიურად, რესპოდენტებს მიეცათ დებულებები, რომელიც აღწერს უნივერსიტეტის დამოკიდებულებას პერსონალის წახალისებასა და განვითარებასთან მიმართებით. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა ყველაზე დიდი რაოდენობა (92%) ეთანხმება დებულებას, რომ უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა. გამოკითხული პერსონალის 83% აღნიშნავს, რომ იცნობს უნივერსიტეტში არსებულ წახალისების მექანიზმებს და ეს მიდგომები სამართლიანია, რასაც არ ეთანხმება რესპოდენტთა 3%. გამოკითხულთა 82% თვლის, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს მათ აკადემიურ განვითარებაზე, ხოლო 89% თვლის, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო აქტივობებში ჩართვაში. (იხ. გრაფიკი #7)

დიაგრამა 16




2.4.5 უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები

გამოკითხვის შემდგომი დებულებები შესაძლებლობას აძლევდა რესოდენტებს შეეფასებინათ მათი დამოკიდებულება უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის მიმართ.

სამუშაო სივრცის აღმწერ 7 ფრაზას შორის, რესოდენტები ყველაზე მეტად ეთანხმებიან იმას, რომ უნივერსიტეტის შენობაში სეზონურად უზრუნველყოფილია შესაბამისი მიკროკლიმატი და სანიტარული კვანძები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და დაცულია სისუფთავე (სრულიად ეთანხმება 94%). გამოკითხულთა 88% სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის საკმარისი სასწავლო ფართი და ეს ფართი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

შედარებით კრიტიკულად ფასდება უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცის ფართი და კომფორტულობა, უნივერსიტეტში და სარეკრეაციო ზონაში შესაბამისი პირობების და გარემოს არსებობა დასვენებისთვის. აღნიშნულ დებულებებს სრულიად ეთანხმება 81%, ხოლო არ ეთანხმება 4%. ასევე, 81% ეთანხმება, 14% ნაწილობრივ ეთანხმება და 4% უფრო არ ეთანხმება დებულებას, რომ უნივერსიტეტი ქმნის სათანადო პირობებს სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციების წარსამართად.

დიაგრამა 17 - სამუშაო სივრცე




ჯანმრთელობის, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით ოთხივე დებულებას სრულიად ეთანხმება გამოკითხულთა 90%-ზე მეტი, კერძოდ რესოდენტთა 93% სრულიად ეთანხმება, ხოლო 7% უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება, რომ უნივერსიტეტში თვალსაჩინოდ არის განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა, ხელმისაწვდომია სამედიცინო პერსონალი მოცემულ დებულებებს შორის

მთელი სასწავლო დღის განმავლობაში და სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსითა და მედიკამენტით.

ასევე ძალიან მაღალია იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელიც ეთანხმება, რომ უნივერსიტეტში არსებობს დაცვის სამსახური, რომლის თანამშრომლები ეფექტურად უზრუნველყოფენ შენობასა და მის გარეთ წესრიგის დაცვას (92% სრულიად ეთანხმება, 8% უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება).


დიაგრამა 18 - ჯანმრთელობა, წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება



საბიბლიოთეკო რესურსისა და სერვისის შეფასებისას, ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სისტემატიურმა ინფორმირებამ და ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენებაში ხელშეწყობამ. რესპოდენტთა 93% ეთანხმება აღნიშნულ დებულებას, 7% კი უფრო მეტად ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება. დადებითად ფასდება ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ლიტერატურის მრავალფეროვნება (87% სრულიად ეთანხმება) და სამუშაო და განტვირთვის პირობები (86% სრულიად ეთანხმება, რომ აღნიშნული პირობები უზრუნველყოფილია). ასევე, პოზიტიურად ფასდება უნივერსიტეტის მზაობა მოთხოვნის შესაბამისად განაახლოს საბიბლიოთეკო რესურსები (86% სრულიად ეთანხმება) და მათ შორის, მზაობა საერთაშორისო ელექტრონული ბაზების განახლებასა და გამრავალფეროვნებაზე (85% სრულიად ეთანხმება).

შედარებით ნაკლები შეფასება მიიღო ინტერნეტის შეუფერხებლად მუშაობამ, კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობამ და ელექტრონული კატალოგის მოსახერხებლობამ. აღნიშნულ დებულებებს სრულიად დადებითად აფასებს რესპოდენტთა 83%.

დიაგრამა 19 - საბიბლიოთეკო რესურსი და სერვისი



3. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა

3.1 კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ერთი მხრივ, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენა, მეორე მხრივ, მათი დამოკიდებულებების გამოვლენა აწ უკვე გავლილი პროგრამის ეფექტიანობის შესახებ. კვლევის საბოლოო მიზანს წარმოადგენს გარკვეული მიგნებების იდენტიფიცირება, რომლის გავითვალისწინებთ პროგრამის განვითარების პროცესში შემდგომში მისი სრულყოფის მიზნით.

კვლევის ამოცანები დაკავშირებული იყო ისეთი ასპექტების გაანალიზებაზე, როგორცაა:

1. კურსდამთავრებულთა ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრა
2. კურსდამთავრებულთა დასაქმების სექტორის დადგენა
3. სამუშაოს ძიების პერიოდის გამოვლენა
4. დასაქმების პროცესში შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრა
5. პროგრამით განსაზღვრული ცოდნის და უნარების შრომის ბაზართან შესაბამისობის შემოწმება
6. კურსდამთავრებულთა საერთო კმაყოფილების დონის დადგენა უნივერსიტეტის მიმართ

3.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია


კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დასადგენად გამოვიყენეთ რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც მოიცავდა თვითადმინისტრირებად კითხვარებს. კითხვარები შედგებოდა ძირითადად დახურული ტიპის დებულებებისგან, თუმცა, რესპონდენტს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი აზრი უფრო ვრცლად დაეფიქსირებინა ამა თუ იმ ასპექტზე. მონაცემთა ეფექტური დამუშავებისთვის კითხვარი ინტეგრირებული იყო „google form“-ის პლატფორმაზე.

გამოყენებულ იქნა სტუდენტური პორტალზე არსებული იმეილების ბაზა. ამავდროულად, კითხვარი იყო ანონიმური და მონაცემთა დამუშავების დროს მკაცრად იყო დაცული პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები.

ამასთან, რეპრეზენტატიულობის მისაღწევად, უნივერსიტეტის ბოლო სამი წლის კურსდამთავრებულებს გადაეგზავნა კითხვარი (2016-17, 2017-18, 2019-20), გენარალური ერთობლიობით - 961.

შედეგად, კვლევაში ჩაერთო 293 კურსდამთავრებული - 30% (იხილეთ მათი განაწილების დიაგრამა -20)

დიაგრამა 20



3.3 ძირითადი დასკვნები


1. **ეკონომიკური სტატუსი** - საერთო ჯამში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია, მით უფრო ლოკალური ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით.
2. **პროგრამით განსაზღვრული ცოდნის და უნარების შრომის ბაზართან შესაბამისობა** - გამოკითხულთა უმრავლესობა მაღალ შეფასებას აძლევს პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას და მიიჩნევენ, რომ გარდა კომპეტენციებისა, უნივერსიტეტმა მათ საკუთარი თავის მუდმივად განვითარების უნარები გამოუმუშავა. ამასთან, ერთი მხრივ, პროგრამის სასწავლო კომპონენტების მეთოდების შეფასებაში შედარებით ნაკლები პროცენტი და მეორე მხრივ, კომენტარებში კურსდამთავრებულთა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ უფრო მეტ პრაქტიკულ მეცადინეობებს და სიმულაციებს ისურვებდნენ.
3. **კურსდამთავრებულთა კმაყოფილება** - მაღალია კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი, რომელსაც გარდა გამოკითხვებისა, ცხადყოფს Retention Rate - კურსდამთავრებულთა 60 %-მა, რომლებმაც მაგისტრატურაზე ჩააბარეს 2016-2018 წლებში, აირჩიეს GAU.

3.4 კვლევის შედეგები

3.4.1 კურსდამთავრებულთა ეკონომიკური სტატუსი და ცალკეული ასპექტები


უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 92% დასაქმებულია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში 20-24 წლამდე ასაკობრივ სეგმენტში დასაქმების მაჩვენებელი 70%-ია, ხოლო 25-39 წლებში 82%, აღნიშნული ინდიკატორი საკმარისად მაღალია, რაც პროგრამის ეფექტიანობაზე და შრომის ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას მიუთითებს.

დიაგრამა - 20




მნიშვნელოვანია აგრეთვე, კურსდამთავრებულების დაყოვნების დრო - სამუშაოს ძიების პერიოდი. საშუალოდ, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული 2.6 თვეში პოულობს მისთვის მისაღებ სამსახურს.

დიაგრამა 21




იმ კურსდამთავრებულთა პასუხები, რომლებიც ჯერ კიდევ სამსახურის ძიების პროცესში იყვნენ, კითხვაზე - თუ რა აფერხებთ დასაქმების პროცესში, შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა 22




დიაგრამა 23 და 24 ასახავს კურსდამთავრებულთა დასაქმების განაწილებას სექტორებისა და მათი პროფილის მიხედვით:

დიაგრამა 23




დიაგრამა 24



3.4.2 პროგრამით განსაზღვრული ცოდნის და უნარების შრომის ბაზართან შესაბამისობა


საერთო ჯამში, პოზიტიურად ფასდება კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამების მიზანშეწონილობის და მისი ბაზართან შესაბამისობის ხარისხი. ამას ცხადყოფს დიაგრამა 25-ში აღნიშნული პირველივე კითხვა (86%). აგრეთვე, მაღალია მათი შეფასება იმ უნარ-ჩვევების მიმართ, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლების დროს გამოუმუშავდათ (89%). შედარებით ნაკლები პროცენტით ხასიათდება პროგრამის კომპონენტებში გამოყენებული ისწავლების მეთოდები (78%). თუმცა, მხოლოდ 7%-ს მიაჩნია, რომ არ იყო მიზნებთან შესაბამისობაში, დარჩენილი 15%-თვის მეტ-ნაკლებად მისაღები იყო.

დიაგრამა 25



საბოლოო ჯამში, კურსდამთავრებულთა კმაყოფილებას მეტი სიზუსტით ასახავს დიაგრამა 26, რომლის მიხედვით, გამოკითხულთა 93% ისევ გაუში ჩააბარებდა.

დიაგრამა 26



დიაგრამა 26-ით განსაზღვრული შედეგის ვალიდაციას ახდენს ის ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც 2016, 2017 და 2018 წლებში GAU-ს კურსდამთავრებულთა Retention rate ასახავს. კერძოდ, ამ წლებში მაგისტრატურაზე ჩააბარა 204-მა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, საიდანაც 95-მა - 46.6%, ჩააბარა კვლავ GAU-ში. მეტიც, თუკი ამ წლებში მხოლოდ იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობას ავიღებთ, რომლებმაც ის პროგრამები არიჩის, რაც GAU-შიც არის, ვნახავთ, რომ მათი რიცხვი 159-მდე შემცირდება. ასეთ შემთხვევაში კი, Retention rate შეადგენს 60%-ს.

კურსდამთავრებულთა კომენტარები:

„ვისურვებდი აუდიტორიასთან თავისუფალი და გამართული კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას“

„გავაუმჯობესებდი ორგანიზაციულ და ლიდერულ უნარ-ჩვევებს“

„პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება“

„სასურველი იქნებოდა, რომ ნასწავლი მასალის გამოყენება შეგვძლებოდა პრაქტიკაშიც“

4. დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა

4.1 კვლების მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო, ერთი მხრივ, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა იმ თანამშრომლებთან მიმართებაში, რომლებიც ამავდროულად GAU-ს კურსდამთავრებულები არიან, მეორე მხრივ, ზოგადი ტენდენციების დადგენა. კვლევის საბოლოო მიზანს კი, პროგრამების განვითარების და სრულყოფისთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი მიგნებების გამოვლენა წადმოადგენდა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. კანდიდატების შერჩევის მეთოდების განსაზღვრა
2. ვაკანსიების გავრცელების არხების იდენტიფიცირება
3. თანამშრომლების დაქირავების სიხშირე (Labour Turnover)
4. უმაღლესი განათლების უპირატესობა დასაქმების კანდიდატების შერჩევის პროცესში
5. კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმების დადგენა
6. ძირითადი პრობლემები რეკრუტირების პროცესში
7. ძირითადი უნარების იდენტიფიცირება მათი ამოცანების გადასაჭრელად
8. GAU-ს კურსდამთავრებულების მიმართ კმაყოფილების დადგენა


4.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

დამსაქმებელთა კმაყოფილების დასადგენად გამოვიყენეთ რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც მოიცავდა თვითადმინისტრირებად კითხვარებს. კითხვარები შედგებოდა ძირითადად დახურული ტიპის დებულებებისგან, თუმცა, რესპონდენტს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი აზრი უფრო ვრცლად დაეფიქსირებინა ამა თუ იმ ასპექტზე. მონაცემთა ეფექტური დამუშავებისთვის კითხვარი ინტეგრირდა „google form“-ის პლატფორმაზე.

გამოყენებულ იქნა უნივერსიტეტის კარიერის ცენტრში აკუმულირებული ბაზა, რომელიც მოიცავს GAU-ს კურსდამთავრებულთა TOP დამსაქმებლების შესახებ ინფორმაციას. ამავდროულად, კითხვარი იყო ანონიმური და მონაცემთა დამუშავების დროს მკაცრად იყო დაცული პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები. კითხვარი გაეგზავნა სულ 58 კომპანიას, საიდანაც კვლევაში მონაწილეობა მიიღო 22 რესპონდენტმა (38%).

დიაგრამა 27

ორგანიზაციის ტიპი:
22 responses



4.3 ძირითადი დასკვნები

1. გამოკითხვების მიხედვით, დამსაქმებელთა უმრავლესობა რეკრუტირებისას უპირატესობას ანიჭებს ტესტირებისა და გასაუბრების კომბინაციას. შერჩევის ამგვარი მეთოდის აქტუალურობა აუცილებელს ხდის სტუდენტებს გამოუმუშავდეთ საკუთარი თავის პრეზენტაციის უნარები.
2. გამოკითხულთა აბსოლუტური რაოდენობა დასაქმების პორტალებს იყენებს ვაკანსიების გასავრცელებლად. თუმცა, დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ აგრეთვე მიმართავენ უნივერსიტეტების კარიერის ცენტრს. აღნიშნული ფაქტორი უნივერსიტეტის კარიერის ცენტრის აქტუალიზაციის რელევანტურობას ამჯერად უკვე ემპირიული გამოცდილება წარმოაჩენს და ამდენად, მის როლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. მეტიც, რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ კანდიდატის შერჩევისას ითვალისწინებენ კარიერის ცენტრის რეკომენდაციას.
3. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მენეჯერული პოზიციების უდიდესი ნაწილი უჭირავთ მაგისტრებს, რაც ამ საფეხურის აქტუალურობას და მაღალ მოთხოვნას წარმოაჩენს დასაქმების ბაზარზე.
4. ნიშანდობლივია, ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა თანამშრომლის შერჩევისას მნიშვნელობას ანიჭებს, არა იმდენად უნივერსიტეტის იმიჯს, რამდენადაც იმ კვალიფიკაციას, რაც ამ უნივერსიტეტმა მისცა. რამდენადაც, ხშირად აწყდებიან კვალიფიკაციის პრობლემას.
5. კვლევაში რესპოდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა პრიორიტეტების მიხედვით დაელაგებინათ წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმები. შედეგებმა აჩვენა, რომ პრაქტიკული ცოდნა, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები და პასუხისმგებლობის გრძნობა არის ის სამი მთავარი კომპონენტი, რაც გადამწყვეტია კანდიდატის შერჩევის პროცესში.
6. რესპოდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევები მნიშვნელოვანია, თუმცა გააჩნია პოზიციას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სტუდენტებისთვის სასარგებლო და ღირებული იქნება პრაქტიკული კომპონენტის უფრო მეტად ინტეგრირება სასაწავლო-საგანმანათლებლო პროცესთან.
7. გამოკითხულ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია GAU-ს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის დონით. ასევე დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ დამატებით კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები საჭიროება არ ჰქონია. მხოლოდ ნაწილი მიიჩნევს, რომ ჰქონდათ საჭიროება, თუმცა ნაწილობრივ.


4.4 კვლევის შედეგები

დამსაქმებელთა უდიდესი ნაწილი მიმართავს ტესტირებისა და გასაუბრების კომბინირებულ მეთოდს - დიაგრამა (86%). გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართავს აგრეთვე, რეკომენდაციებს (36.4%).

დიაგრამა 28

კანდიდატების შერჩევის რა მეთოდებს იყენებთ? (შეგიძლიათ შემოხაზოთ ერთდროულად რამდენიმე პასუხი)


22 responses



დიაგრამა 29

რამდენად ხშირად დგება თქვენს ორგანიზაციაში ახალი თანამშრომლების მიღების საჭიროება?

22 responses




აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური რაოდენობა ვაკანსიების გასავრცელებლად იყენებს დასაქმების პორტალებს. დიდი ნაწილი (59%) იყენებს აგრეთვე უნივერსიტეტების კარიერული დასაქმების ცენტრს.

დიაგრამა 30

როგორ/რა საშუალებებით ავრცელებთ ინფორმაციას თქვენს ორგანიზაციაში არსებული ვაკანსიების შესახებ? (შეგიძლიათ შემოხაზოთ ერთდროულად რამდენიმე პასუხი)

22 responses



გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დასაქმების უფრო მაღალ შანსს განათლების საფეხური არ განსაზღვრავს, თუმცა, 22.7% თვლის, რომ მაგისტრებს ასეთი შანსი ეზრდებათ.

დიაგრამა 31

თქვენს ორგანიზაციაში დასაქმების უფრო მაღალი შანსი განათლების მიღწეული დონის მიხედვით აქვს:

22 responses




თუმცა, კითხვაზე, თუ როგორ ნაწილდება ხელმძღვანელ პოზიციების მქონე პირები საფეხურების მიხედვით, ყველაზე მეტი ხმა (100%) მიიღო მაგისტრის ხარისხის მქონე კანდიდატებმა, შემდგომ დოქტორის და ბოლოს ბაკალავრის.

დიაგრამა 32

თქვენს ორგანიზაციაში ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებულ პირებს აქვთ:

22 responses




დამსაქმებელთა უმრავლესობა - 64%, აღნიშნავს, რომ კურსდამთავრებულის მიღებისას მნიშვნელოვანია მისი უნივერსიტეტში მომზადების დონე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 50% ფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია აგრეთვე, უნივერსიტეტის კარიერის ცენტრის ხმარდაჭერა.

დიაგრამა 33


რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორ(ებ)ი, თქვენს ორგანიზაციაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის მიღებისას? (შეგიძლიათ შემოხაზოთ ერთდროულად რამდენიმე პასუხი)

22 responses




მაღალი შეფასება აქვს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების კვალიფიკაციას. გამოკითხულთა 91% მიიჩნევს, რომ GAU-ს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია ძალიან მაღალია, ან მაღალია.

დიაგრამა 34



რესპოდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პრიორიტეტების მიხედვით (1 დან 11 მდე) დაეღაგებინათ დიაგრამა 35-ში ასახული კომპეტენციები/უნარები.


დიაგრამა 35 - დააღაგეთ კომპეტენციები პრიორიტეტების მიხედვით (1 ნაკლებად მნიშვნელოვანი, 11 ძალიან მნიშვნელოვანი)



საყურადღებოა, დამსაქმებელთა შეფასება რეკრუტირების პროცესში წარმოშობილ პრობლემებზე. აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბაზარზე კვალიფიციური კანდიდატების დეფიციტია (91%).

დიაგრამა 36

თქვენი აზრით, რა იყო იმის მიზეზი, რომ თქვენს ორგანიზაციას შეექმნა სხვადასხვა სახის პრობლემები ახალი თანამშრომლების მოძიების...თ შემოხაზოთ ერთდროულად რამდენიმე პასუხი)
22 responses



დამსაქმებლების 59% აღნიშნავს, რომ სტუდენტებისთვის აქვთ მოქნილი სამუშაო გრაფიკი.

დიაგრამა 37

აქვს თუ არა შესაძლებლობა თქვენთან დასაქმებულ სტუდენტს სამუშაო დროის და სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარმართოს?
22 responses




გამოკითხულთა 77 % მიიჩნევს, რომ სამუშაო გამოცდილების მოთხოვნისას, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიციას.

დიაგრამა 38

ითხოვთ თუ არა კანდიდატისგან სამუშაო გამოცდილებას თქვენს ორგანიზაციაში დასაქმებისთვის?

22 responses




დამსაქმებლების აზრით, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისთვის აუცილებელია ორგანიზაციებმა მიმართონ უნივერსიტეტებს (82%). აგრეთვე, აუცილებელია უნივერსიტეტის კარიერულ ცენტრთან თანამშრომლობა (72%).

დიაგრამა 39

რა ტიპის აქტივობები უნდა განხორციელდეს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისათვის? (შეგიძლიათ შემოხაზოთ ერთდროულად რამდენიმე პასუხი)


22 responses



კითხვაზე, დასჭირდათ თუ არა GAU-ს კურსდამთავრებულებს დამატებითი კვალიფიკაციის გავლა, ყველაზე მეტი პასუხი მიიღო „არა“-მ - 59.1%.

დიაგრამა 40

დიაგრამა



დამსაქმებლის კომენტარი:

„კარგი იქნება რომ უფრო მეტად მოხდეს სტუდენტების რეალურ პროექტებში ჩართვა რათა მათ შეძლონ თეორიული ცოდნის განმტკიცება პრაქტიკაში. კარგი იქნება რომ თეორიული ცოდნა იყოს დამოკიდებული თანამედროვეობაზე რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, რომ მეტი კვლევა გააკეთოს და გაიხედოს მომავალში.“

5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა

5.1 კვლევის მიზნები და ამოცანები

ჩატარებული გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დამოკიდებულების დადგენა უნივერსიტეტის მართვის სტილთან, პერსონალის წახალისებასთან, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. მისიის, ხედვის და სტრატეგიული გეგმის მიმართ ცნობადობა
2. მისიის, ხედვის და სტრატეგიული გეგმის ფორმირებაში მათი ჩართულობა
3. გადაწყვეტილების მიღების დროულობა და ჩართულობა
4. პერსონალის წახალისების და განვითარების პოლიტიკა
5. მატერიალური რესურსების და უსაფრთხოების მიმართ მათი დამოკიდებულებების დადგენა

5.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, რომლის ფარგლებში რესპოდენტებმა შეავსეს Google Forms-ის პლატფორმაზე შექმნილი ელექტრონული კითხვარი ანონიმურად, მხოლოდ სტატუსის მითითებით (ადმინისტრაციული პერსონალი, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის დამხმარე პერსონალი, სკოლის დამხმარე პერსონალი)

კითხვარი შედგებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტრუქტურირებული დახურული კითხვებისაგან. ელექტრონული კითხვარის ბმული გავგზავნეთ უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართებზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გენერალური ერთობლიობა შეადგენდა 89-ს, რომელთაგან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 72-მა-მა რესპოდენტმა (გამოპასუხების მაჩვენებელი - 81%). მონაცემთა ანალიზის, განზოგადებისა და წარდგენისას მკაცრად იყო დაცული პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობითა და კვლევის ეთიკით გათვალისწინებული რეგულაციები.


5.3 ძირითადი დასკვნები

- გამოკითხულ პერსონალთა აბსოლუტური რაოდენობა ერთი მხრივ, ინფორმირებულია უსდ-ს მისიის, ხედვის და სტრატეგიული განვითარების შესახებ, მეორე მხრივ, აბსოლუტური უმრავლესობა ჩართულია მათი ფორმირების პროცესში
- გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მაღალ შეფასებას აძლევს გადაწყვეტილებების მიღების დინამიკას, აგრეთვე, სტრუქტურული ერთეულების მიერ ურთიერთ თანამშრომლობის ეფექტურობას.
- რესპოდენტების კმაყოფილების ხარისხია მაღალია პერსონალის წახალისებისა და განვითარების პოლიტიკაზე, როგორც სამართლიანობის, აგრეთვე გამჭვირვალობაზე
- დადებითია გამოკითხულთა დამოკიდებულება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.
- უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა არის ის ნაწილი დამოკიდებულებებში, რომლებსაც ყველაზე მაღალი შეფასება აქვს პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგებში.

5.4 კვლევის შედეგები


გამოკითხულთა აბსოლუტური რაოდენობა იცნობს მისიას, ხედვას და განვითარების გეგმას. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა თავადაც ჩართული იყო მათი ფორმირების პროცესში

დიაგრამა 41




გადაწყვეტილების მიღება და მასში ჩართულობასაც მაღალი შეფასება აქვს პერსონალის მხრიდან.

დიაგრამა 42




აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მაღალ შეფასებას აძლევს პერსონალის წახალისების და განვითარების პოტილიკას.

დიაგრამა 43



მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა მცირე ნაწილის დაბალ შეფასებას აძლევს უნივერსიტეტში სარეკრეაციო, ინდივიდუალური სივრცეების არსებობას (1-3%).

დიაგრამა 44



მაღალია აგრეთვე შეფასება პერსონალის მხრიდან უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე (94-92%).

დიაგრამა 45

